

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო პროგრამა

ფაკულტეტის დასახელება	სპორტულ - პედაგოგიური ფაკულტეტი
პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მასწავლებელი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ბაკალავრი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი მნათობიშვილი მანანა ტელ: 555-488-575 ელ. ფოსტა - manana.mnatobishvili@gmail.com
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	
<p>პედაგოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი (საქართველოს მოქალაქე), რომელიც შიდა საუნივერსიტეტო გამოცდისა (პრაქტიკული ჩვენების შემოწმების სპორტული ტურის, რომელიც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს) და ერთიანი ეროვნულ გამოცდების წარმატებით გავლის საფუძველზე უფლებას მოიპოვებს ისწავლოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით განსაზღვრული პირობები.</p> <p>ინფორმაცია სპორტული ტურის ჩატარების შესახებ აღწერილია 2014-2015 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების სპორტული ტურის დებულებაში, რომელიც საჯაროა - ეგზავნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრს და განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: sportuni.ge</p>	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე	
<p>ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კადრების მომზადება სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და ამ სფეროში წარმატებული კონკურენციისათვის აუცილებელი კომპეტენციების შექმნა; • სტუდენტს შეასწავლოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ზოგადპედაგოგიური საფუძვლები, ის მოვლენები და კანონები, რომელიც საფუძვლად უდევს ფიზიკურაღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა მომზადებას; • სტუდენტმა აითვისოს ის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც მიმართულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის თანამედროვე მიდგომებისა და სასწავლო მეთოდების გზების დამუშავებასა და თანამედროვე მეთოდოლოგიური და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე; • მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის (სამივე საფეხური) შემოქმედებითი აზროვნების მქონე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი, რომელიც შეძლებს პედაგოგიური პროცესი წარმართოს ფიზიკურად და სულიერად განვითარებული, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღსაზრდელად. • ასწავლოს სტუდენტებს შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტების დაცვა. 	

სწავლის შედეგები (დარგობრივი კომპეტენციები)

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი ფუნდამენტური და ზოგადი დისციპლინები და ფიზიკურ აღზრდისა და სპორტის საკითხებთან მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრა; • ფიზიკურ აღზრდის და სპორტის ძირითადი თეორიული კონცეფციები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პრაქტიკულ მუშაობაში. • ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის წინაშე მდგარი ამოცანები, გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარების პრინციპები; • მოძრაობის საფუძვლები, მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისა და სხეულის სრულყოფისათვის აუცილებელი ვარჯიშები, მათი პრაქტიკული მნიშვნელობა და სარგებლიანობა; • ინდივიდუალური და ჯგუფური კომპლექსური ვარჯიშები, მათი კლასიფიკაცია სისწრაფის, ძალის, გამძლეობის, სიმარჯვისა და მოქნილობის განვითარებისათვის; • ადამიანის ფსიქიკის კანონზომიერებები და თავისებურებები; • მოძრავი და სპორტული თამაშების (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, რაგბი) მძლეოსნობის, ტანვარჯიშის და ცურვის როლი და დანიშნულება მოსწავლეთა ფიზიკური მომზადებისა და განვითარების საქმეში; • პროფესიული პასუხისმგებლობის შეცნობა და პროფესიული ეთიკის ნორმების მაგალითის მოყვანა.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოზარდების ასაკობრივი და სქესობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმოს და წარმართოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილი და განსაზღვროს დატვირთვების ინტენსივობა; • სხვადასხვა ასაკობრივ და გენდერულ ჯგუფებში ადამიანთა ფიზიკური განვითარებისათვის საჭირო საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებას; • სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურის რესურსის შესაბამისად დაგეგმოს და წარმართოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები. • შეიმუშაოს ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო პროგრამები, რომლებიც შეამცირებენ მოსალოდნელი ტრავმების პროცენტულ მაჩვენებელს; • ეფექტურად გამოიყენოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე ტრენაჟორები და სხვა დამხმარე საშუალებები და უზრუნველყოს მათი გამოყენების უსაფრთხოება. • გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში შეარჩიოს მოსწავლეთა საერთო და სპეციალური ფიზიკური თვისებების (ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე, მოქნილობა, მოძრაობის კოორდინაცია) განვითარებისათვის საჭირო ვარჯიშები და შეადგინოს საერთო-განმავითარებელვარჯიშთაკომპლექსები; • გასინჯოს მოსწავლეთა არტერიული წნევა, პულსი, სუნთქვის სიხშირე და ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა. ჩაატაროს აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟი;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- არსებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრისათვის შესაბამისი ხერხებისა და გზების შერჩევის შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება;
- მეცადინეობის გეგმის, მისი ორგანიზების, დატვირთვების აღრიცხვისა და კონტროლის ერთმანეთთან დაკავშირება;
- ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და დასკვნის გამოტანა,
- გამოყენებული ლიტერატურული წყაროების კრიტიკულად შეფასება, დასკვნების გაკეთება და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება;
- აზრის სწორად შეჯერება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეეძლება:

- დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი პოზიციების დაცვა და აზრის ჩამოყალიბება;
- მშობლიურ ენაზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა;
- ინგლისურ ენაზე კომპლექსური საკითხის ან კითხვის ფორმულირება/ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა;
- მოლაპარაკებების, პრეზენტაციებისა და შეხვედრების ორგანიზაცია.

სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სწავლის პერიოდში, საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით, სწორი მიმართულების განსაზღვრას;
- საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას;
- სწავლის შემდგომი ეტაპისთვის მზაობას და შემდგომი გაგრძელებისთვის საჭიროებების განსაზღვრას;
- სწავლის დამოუკიდებლად განხორციელებას, სწავლების პროცესის თავისებურებების გათვალისწინებას და სხვადასხვა სამეცნიერო წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობას;
- სასწავლო პროცესში ორიენტირებას, სასწავლო მიზნებით საინფორმაციო ტექნიკის გამოყენებას, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, ანალიზს დამონაცემების ინტერპრეტაციას.

ღირებულებები

- გაცნობიერებული აქვს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მნიშვნელობა, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების, ჯანმრთელი ცხოვრების წესის, ფიზიკური და სულიერი

	<p>ჯანმრთელობის და მოსწავლეებში წარმატების მიღწევის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობა;</p> <ul style="list-style-type: none"> • აცნობიერებს ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობას მანერჩვევების (თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების) პრევენციის საქმეში. • მონაწილეობას მიიღებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში. • გაცნობიერებული აქვს მოზარდის ფიზიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა ქვეყნის აღმშენებლობისთვის. • შეაფასებს საკუთარი თავისა და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და ნებისმიერ სიტუაციაში იმოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი თვისებების შესაბამისად.
--	--

სწავლების ფორმატი

სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობა,

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, დამოუკიდებელი მუშაობა, წერიტი მუშაობის მეთოდი, კოლოკვიუმი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი ანგარიშის დაწერა, რეფერატის შესრულება, პრეზენტაცია, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა და სხვა მეთოდები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვებაა და ეს აუცილებელი მოთხოვნაა მთელი უნივერსიტეტისთვის. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დასკვნით გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის საშუალება კურსის გამეორების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა დააგროვა 40 და ნაკლები ქულა, იგი ვალდებულია გაიმეოროს კურსი. სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება მრავალი კომპონენტით, რომელთა რაოდენობა უნდა იყოს სულ მცირე სამი მაინც, რომელთაგანაც ერთი დასკვნითი გამოცდაა და მისი ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას. შეფასების კომპონენტების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს საგნის სპეციფიკას და მისი სწავლების ფორმატს (ლექცია; ლექცია+სემინარი; ლექცია+სემინარი+ლაბორატორია/პრაქტიკული და ა.შ.). კომპონენტების ხვედრითი წილი ვარირებს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების ხვედრითი წილის საბოლოო განსაზღვრა წარმოადგენს საგნის წამყვანი პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის პასუხის მგებლობას ფაკულტეტთან შეთანხმებით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური გამოცდისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა (ვინაიდან უნივერსიტეტში დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით, იმისთვის, რომ სტუდენტს მიეცეს გამოცდაზე გასვლის უფლება, შეფასების სხვა კომპონენტებში ერთად დაგროვილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 11 ქულა (11+40 =51).

სემესტრული შეფასების კომპონენტები აღწერილია საგნების სილაბუსებში

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;

- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

პროგრამა

სასწავლო კურსები	სტატუსი (სავალდებულო / არჩევითი)	ECTS კრედიტი/ კრედიტი	საკონტაქტო საათების რაოდენობა	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
უცხოენა (ინგლისური) – I	ს	5 (I)	47	X	X		X	X	X
უცხო ენა (ინგლისური) – II	ს	5 (II)	47	X	X		X	X	X
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ს	5 (I)	47	X	X	X	X	X	
ადამიანის ანატომია- I	ს	5 (I)	47	X	X	X	X	X	
ადამიანის ანატომია - II	ს	5 (II)	47	X	X		X	X	
ტანვარჯიში-1	ს	5 (I)	47	X	X		X	X	
ტანვარჯიში-1	ს	5 (II)	47	X	X		X	X	
მძლეოსნობა	ს	5 (III)	47	X	X			X	
მძლეოსნობა	ს	5 (IV)	47	X	X			X	
აკადემიური წერა	ს	5 (II)	47	X	X	X	X		
სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია	ს/ა	5 (I)	47	X	X	X	X	X	
შესავალი სპეციალიზაციაში	ს	5 (III)	47	X	X	X	X	X	
მოდრავი თამაშები	ს	5 (III)	47	X	X			X	
კალათბურთი	ს	5 (IV)	47	X	X				X

ადამიანის ფიზიოლოგია	ს	5 (III)	47	X	X	X	X	X	X
სპორტის ფიზიოლოგია	ს	5 (IV)	47	X	X	X	X	X	X
ბიომექანიკა	ს	5 (IV)	47	X	X	X		X	
სპორტული წვრთნის საფუძვლები	ს	5 (VI)	47	X	X			X	
სპორტული ტექნოლოგიები	ს	5(V)	47	X	X		X	X	
ფ/აღზრდის გაკვეთილების ჩატარების თავისებურებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში	ს	5 (V)	47	X	X	X	X	X	X
ცურვა	ს	5 (VI)	47	X	X	X		X	X
ეროვნული სასწავლო გეგმა და მასწავლებლის სტანდარტი, საგანთა შორის კავშირი	ს	5 (V)	47	X	X			X	
ზოგადი და სპორტის ჰიგიენა	ს	5 (VI)	47	X	X		X	X	X
სპორტული მედიცინა და რეაბილიტაცია	ს	5 (VI)	47	X	X	X	X		
მასაჟი	ს	5 (VI)	47	X	X	X	X		
ტყვიის სროლა	ა	5 (I)	47	X	X		X	X	
ბუნებით სარგებლობა, ეკოლოგია	ა	5 (I)	47	X	X	X	X	X	
საქართველოს ისტორია	ა	5 (I)	47	X	X	X	X		X
ფრენბურთი	ს/ა	5 (IV)	47	X	X		X	X	
დესტრუქციული ქცევა სწავლების პროცესში	ა	5(II)	47	X	X	X	X	X	
ესთეტიკური აღზრდა	ს/ა	5 (III)	47	X	X			X	X
რიტმიული აერობიკა	ა	5 (III)	47	X	X			X	X
ინტერპერსონალური ფსიქოლოგია	ა	5 (III)	47	X	X	X	X	X	
განათლების პოლიტიკა და ზოგადი განათლება საქართველოში	ა	5(IV)	47	X	X	X	X		X
ჩოგბურთი	ს/ა	5(IV)	47	X	X			X	X
პედაგოგიური ეთიკა	ა	5(IV)	47	X	X	X		X	
ფეხბურთი	ს/ა	5(V)	47	X	X		X		X

სამოქალაქო განათლება	ა	5(V)	47	X	X		X		X
ზოგადი და სპორტის სოციოლოგია	ა	5(V)	47	X	X	X	X	X	X
ხელბურთი	ს/ა	5 (VI)	47	X	X		X	X	X
ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სკოლებში	ა	5 (VI)	47	X	X		X	X	X
ალპინიზმი და სამთო ტურიზმი	ა	5 (VI)	47	X	X		X	X	X